



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### ეკატერინე II აღექსის ასული

ეკატერინე II აღექსის ასული [21. IV (2.V). 1729, შტეტინი, გერმანია, – 6 (17). XI. 1796, ცარსკოესელო, ახლანდ. ქ. პუშკინი], რუსეთის იმპერატორი 1762 წ. 28 ივნისიდან. ე. II წარმომავლობით ღარიბ გერმ. მთავართა გვარიდან იყო (ქალიშვილობაში – სოფია ფრედერიკა ავგუსტა ფონ ანჰალტ-ცერბისტი). 1745 ცოლად გაჰყვა რუს. ტახტის მემკვიდრეს (შემდგომ პეტრე III-ს), რ-იც გამეფებისთანავე ტახტიდან ჩამოაგდო და თვითონ გამეფდა. ე. II-მ საშინაო და საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია (საკანონმდებლო აქტები, სახელმწ. ტერიტ. ზრდა და სხვ.). იგი აქტიურად მონაწილეობდა იმპერიის ცხოვრებაში, მტკიცედ ატარებდა თავად-აზნაურთა ინტერესების გამომხატველ პოლიტიკას, თუმცა ნიღბავდა მას ლიბერალური ფრაზებით, რაც დამახასიათებელი იყო ე. წ. „განათლებული აბსოლუტიზმისათვის“. ე. II-ის დროს მოხდა გლეხთა ამბოხი ემელიან პუგაჩოვის წინამდღოლობით (1773-75). ამას მოჰყვა რეაქციის გაძლიერება და თავად-აზნაურთა უფლებაპრივილეგიების განმტკიცება (1785 წყალობის სიგელი). ე. II-ის საგარეო პოლიტიკა მიმართული იყო დასავლეთით (რეჩოსპოლიტა – პოლონეთის სამგზის დაყოფა) და სამხრეთით (ოსმალეთი, ჩრდ. შავიზღვისპირეთი, ყირიმი, ჩრდ. კავკასია). რუსეთს ოსმალეთთან ომში ევრ. სახელმწიფოების მხარდაჭერის იმედი არ ჰქონდა და მოკავშირეებს ბალკანეთსა და კავკასიაში ეძებდა. ამ მიზნით ე. II-ს მთავრობამ მჯიდრო ურთიერთობა დაამყარა სოლომონ I-თან, ერეკლე II-თან და ისინი ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაითრია. ამის შედეგად ქართვ. მეფეებს კიდევ უფრო გაურთულდათ ურთიერთობა ოსმალეთთან, რუსეთმა კი დიდ დიპლ. და სამხ. წარმატებებს მიაღწია. ამ ომების შედეგად რუსეთი მტკიცედ დამკვიდრდა შავ ზღვასა (1783 შეიერთა ყირიმი) და კავკასიაში (1783 ქართლ-კახეთის სამეფოსთან დაიდო მფარველობითი ტრაქტატი. იხ. გეორგიევსკის ტრაქტატი 1783), რაც განპირობებული იყო რუსეთის აქტ. კოლონ. პოლიტიკით. რუსეთს თავისი მიზნები ჰქონდა და სრულიადაც არ აპირებდა ტრაქტატით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას (იხ. კრწანისის ბრძოლა 1795 ). ე. II-მ

ფაქტობრივად მოამზადა რუს. მიერ საქართვ. ანექსია. ე. II-მ დატოვა ფართო ლიტ. მემკვიდრეობა (სტატიები, კომედიები, ბლაპრები, ისტ. თხზულებები, მიმოწერა დას. ევრ. განმანათლებლებთან), რაც მნიშვნელოვანი წყაროა მისი მოღვაწეობის შესასწავლად.

ლიტ.: Соловьев С. М., История России с древнейших времен, Соч., т. 25–29, М., 1965–66; Тарле Е. В., Екатерина Вторая и ее дипломатия, ч. 1–2, М., 1945.

## **б. ნაკაშიძე**

---